



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 68
12/12/2016

68-06-4-201612121842



განკარგულება №68

2016 წელი, 12 დეკემბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მიღებული თანხის განაწილების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის N23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02/03/2016 N23 განკარგულებით განისაზღვრა 1342237 ლარის განაწილება „სოფლის მხარდამჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების დასაფინანსებლად. საქართველოს მთავრობის 04/02/2016 წ. N54 დადგენილებით „სოფლის მხარდაწერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე- 4 პუნქტის თანახმად სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მიღებული თანხის განაწილების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის N23 განკარგულების დანართში. (დანართი თან ერთვის)

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო